საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გენადი მაკარიძის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 14 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 18 | 20 |
| წერის უნარი | 18 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 15 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 15 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 2 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 85 | 100 |

**სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი**

**თარიღი: 27.05.2021 წ.**

**გენადი მაკარიძე**

**შეფასების დასაბუთება**

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით*

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | | **კომენტარი** |
|---|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | კანდიდატი არის კორექტული და თავდაჭერილი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს. ის არის დამოუკიდებელი და პრინციპული. იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ის ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მას არ დაკისრებია ადმინისტრაციული სახდელი. კოლეგებს შორის კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური და სხვა ნიშნით. |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ | |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | | **კომენტარი** |
|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** | |
| სამართლის ნორმების ცოდნა | **14** | **20** | კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებების ევორპული სასამართლოს პრაქტიკას. |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 18 | 20 | კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის მოსაზრებებს ის გადმოსცემს გასაგებად, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. მას აქვს 12-წლიანი პროფესიული გამოცდილება. |
| წერის უნარი | 18 | 20 | კანდიდატს აქვს გამართული წერის უნარი, ის ნათლად და გასაგებად გადმოსცემს თავის პოზიციას. |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 15 | 15 | კანდიდატი არის თავდაჭერილი და აქვს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. პატივისცემით ეპრყობა თანამოსაუბრეს. საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად. |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 15 | 15 | კანდიდატი არის პუნქტუალური. მის სისწაფესა და პროდუქტიულობაზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი. ის არის კორექტული და შრომისმოყვარე. |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 | კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა სასწავლო პროფესიულ შეხვედრას. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ის ღიაა სიახლეების მიმართ, თუმცა აქტიურად არ ეცნობა აქტუალურ საკანონმდებლო სიახლეებს. |
| პროფესიული აქტივობა | 2 | 5 | კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. თუმცა, ის არ არის დაკავებული პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობით, მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები. |
| **ქულათა ჯამი** | **85** | **100** | |
| **დასაბუთება** | საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ | | |

ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, გენადი მაკარიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
- *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
- *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
- *ფინანსური ვალდებულება.*

<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია შემდგომი დასკვნის გამოტანა: გენადი მაკარიძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს კეთილსინდისიერად, კერძოდ, მას არ უფიქსრიდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური დავალიანება. გენადი მაკარიძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2020 წლების განმავლობაში კანდიდატს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობებს.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ გენადი მაკარიძე

| | |
|---|---|
| | მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის კოლეგები და რეკომენდატორები დადებითად აფასებენ მის პრინციპულობას, დამოუკიდებლობას, შრომისმოყვარეობას, ასევე კეთილსინდისიერებას.<br><br>**<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>**<br><br>მიმაჩნია, რომ კანდიდატს სათანადოდ აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. მისი ქცევა და კოლეგებთან ურთიერთობა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. კანდიდატმა გამოავლინა თავდაჭერილობა და კორექტულობა.<br><br>გენადი მაკარიძე სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.<br><br>საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.<br><br>მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ გენადი მაკარიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება, ამასთან კანდიდატი სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.<br><br>**<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>**<br><br>აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. რეკომენდატორები და კოლეგები ახასიათებენ მას ძალიან კარგად. გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, შრომისმოყვარეობას და ა.შ.. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ გააჩნია იმგვარი სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლიდა მის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას.<br><br>**<u>ფინანსური ვალდებულება</u>**<br><br>როგორც უკვე აღინიშნა, გენადი მაკარიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან |

| | |
|---|---|
| | დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს.<br><br>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, გენადი მაკარიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u><br><br><u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:<br><br>• *სამართლის ნორმების ცოდნა;*<br>• *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*<br>• *წერის უნარი;*<br>• *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*<br>• *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*<br>• *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*<br>• *პროფესიული აქტივობა.*<br><br><u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u><br><br>გასაუბრების შედეგების შეჯამების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.<br><br>გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა როგორც სამართლებრივი, ისე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. ის ცდილობდა მისთვის დასმულ ყველა საკითხზე ემსჯელა ამომწურავად, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატმა ვერ შეძლო საფუძვლიანად განეხილა გარკვეული სამართლებრივი საკითხი და ვერ წარმოაჩინა ზოგიერთი |

| | |
|---|---|
| | სამართლებრივი საკითხის სიღრმისეული ცოდნა. მათ შორის ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა: პრეზუმფციის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში, ჩვეულება - როგორც სამართლის წყარო, ვალის აღიარება და მისი სახეები, ასევე მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა და ა.შ..<br><br>ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა ვერ შეძლო განემარტა ისეთი საერთაშორისო ორგანოების მნიშვნელობა და ფუნქციები, როგორიცაა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია.<br><br>საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვისას კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 85%.<br><br>**<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>**<br><br>კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის გადაწყვეტილებებში კანდიდატი მოსაზრებებს გადმოსცემს გასაგებად, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. მას აქვს 12-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 9-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას.<br><br>**<u>წერის უნარი;</u>**<br><br>კანდიდატი წერილობით თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად და გასაგებად. მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.<br><br>**<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>**<br><br>კანდიდატი არის თავდაჭერილი და მას აქვს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. პატივისცემით ეპრყობა თანამოსაუბრეს. საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად.<br><br>**<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>**<br><br>კანდიდატი არის პუნქტუალური. მას აქვს სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი. მის სისწრაფესა და პროდუქტიულობაზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი |

| | |
|---|---|
| | მაჩვენებელი (88,1%. 93,3%). ის არის კორექტული და შრომისმოყვარე.<br><br>**<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>**<br><br>კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა სასწავლო პროფესიულ შეხვედრას. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ის ღიაა სიახლეების მიმართ, თუმცა აქტიურად არ ეცნობა აქტუალურ საკანონმდებლო სიახლეებს.<br><br>**<u>პროფესიული აქტივობა.</u>**<br><br>კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. თუმცა, ის არ არის დაკავებული პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობით, მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები. |

**სახელი და გვარი:** ლევან გზირიშვილი

**ხელმოწერა:**

**თარიღი:** 27.05.2021 წ.